ხელშეკრულება №28/02

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი ,,03 აგვისტო 2013 წელი

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის ``სახელმწიფო შესყიდვების შესახებ`` და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ``გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის`` მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

(CPV:22800000,24400000,24900000,30100000,3020000,31500000,33100000,33700000,39500000,39800000, 44400000,44800000)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია N28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმოდგენილი თავმჯდომარე მაია ველთაურის სახით შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს საკანცელარიო სამყარო წარმოდგენილი მისი დირექტორის [illegible]ს სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მოახდინოს საკანცელარიო , სამეურნეო და ჰიგიენური,**საქონელი**" შემდგომში **,,საქონელი"**, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი **,,საქონელი"**, და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. **,,საქონელის"** ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა დღგ-ს ჩათვლით შეადგენს **1669.49 ლარს.,**

2.2. **,,საქონელის" მოცულობა** და ერთეულის ფასი: **იხილეთ დანართი №1-ში , რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.**

3. **,,საქონელის"** მიღება-ჩაბარება

3.1. **,,საქონელის"** ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ მხარეთა წარმომადგენლები, რომლებიც აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს გაწეული **,,საქონელის"** მიხედვით.

3.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული **,,საქონელის"** შესაბამიშად

4. **,,საქონელის"** მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2013 წლის 3 აგვისტოდან 10 დღის განმავლობაში.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად **,,საქონელის"** შესრულების შემდეგ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში

5.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
9.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
9.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს 4.2 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით გაწეული **„საქონელის"** ღირებულების 0,1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს სრული **„საქონელის"** ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული **„საქონელის"** ღირებულება.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ **„საქონელის"**მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და შეამოწმოს **„საქონელის"** ხარისხი. კონტროლს ახორციელებს N28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
11.2 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
- გაუწიოს კონტროლი **„საქონელის"** მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
- განახორციელოს კონტროლი მიწოდებული საქონლის ხარისხზე და დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული**„საქონელის"** ხელშეკრულების მოთხოვნებს.
- მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული **„საქონელის"** მიღება.
11.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
11.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.4. ხელის მომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და **„საქონელის"** მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 1 ნოემბრამდე.

14.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15.1. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები.

„შემსყიდველი“
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
N28 დუშეთის საარჩევნო ოლქი

ქ. დუშეთი, კოსტავას ქ.№23
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509

ტელ: (995 346) 22-11-32
LBRTGE22
ანგ №GE23LB0118141330135024; კოდი: 220101403

N28 დუშეთის საარჩევნო ოლქის
თავმჯომარე

„მიმწოდებელი“
შპს „საკანცელარიო სამყარო“

ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ.1
საიდენტიფიკაციო კოდი: 202335721
ტელ: 995 32 251-79-74
პროკრედიტბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა #GE40PC0183600100024848

დირექტორი

დანართი 1

საქონელის დასახელება	კოდი	ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
საქაღალდე ცელოფანის	22852000	ცალი	3	0.32	1.92
ფაილი	22852100	ცალი	15	3.15	47.25
კალკულატორი	30141200	ცალი	53	4.5	238.5
სტეპლერი	30197100	ცალი	55	1.98	108.9
სტეპლერის სკობი	30197110	ცალი	55	0.27	14.85
სკოჩი (დიდი)	44424200	ცალი	30	1.26	37.8
სკოჩი (პატარა)	44424200	ცალი	60	0.18	10.8
დისკი ცდ-რ	30234300	ცალი	20	0.45	9.00
დისკი დვდ	30234300	ცალი	20	0.45	9.00
დისკების ჩასადები კონვერტი		ცალი	50	0.05	2.5
სკრეპი	30197220	ცალი	5	0.36	1.8
კლიფსი	30197220	ცალი	24	0.18	4.32
ქაღალდი (ქსეროქსის)	30197642	ცალი	50	6.4	320.00
ნათურა ეკო 113	31531000	ცალი	6	4.5	27.00
ნათურა 100-ვატი	31531000	ცალი	150	0.45	67.5
სანთელი	39225600	ცალი	200	0.36	72.00
თხევადი საპონი	33711900	ცალი	5	2.7	13.50
სახეხი ფხვნილი	39813000	ცალი	2	1.35	2.70
ხელთათმანი რეზინის	18424000	ცალი	12	4.05	48.60
ხელსახოცი ქაღალდის	33764000	ცალი	10	5.4	54.00
ხელსახოცი ქაღალდის	33764000	ცალი	10	2	20.00
ტუალეტის ქაღალდი	33761000	ცალი	96	0.63	60.48
ქლორი (დომესტოსი)	39813000	ცალი	8	3.6	28.80
სახეხი კრემი	33141118	ცალი	1	6.3	6.30
აეროზოლი	24959100	ცალი	2	1.35	2.70
ავეჯის საწმენდი სითხე	33141118	ცალი	1	10.8	10.80
მიკროფიბრა	39525100	ცალი	6	1.35	8.10
პარკეტის საწმენდი სითხე	33141118	ცალი	1	13.5	13.50
მასტიკა	44831100	ცალი	6	3.6	21.60
ჭურჭლის ფუნჯი		ცალი	3	2.25	6.75
უნიტაზის კომპლექტი	24455000	ცალი	1	2.7	2.70
მინების საწმენდი სითხე	33141118	ცალი	3	4.5	13.50
ხელსახოცი ლუქსპაკი	39514100	ცალი	10	1.35	13.50
ტილო იატაკის-პრემიუმ	39525100	ცალი	1	4.95	4.95
ტილო იატაკის-ბაგი	39525800	ცალი	2	4.95	9.9
პოლის ჯოხი შვაბრა		ცალი	2	13.5	27.00
ფანქარი პენსანი	30192130	ცალი	110	0.27	29.70
ფანქარი მექანიკური როტრინგი	30192131	ცალი	5	2.25	11.25
ფანქარი მექანიკური	30192131	ცალი	5	0.45	2.25
ფანქრის გული ტურბო	30192132	ცალი	4	0.45	1.80
ჭიკარტი ოქროსფერთავიანი	30197120	ცალი	180	0.27	48.60
ჭიკარტი დაბალთავიანი	30197120	ცალი	5	1.35	6.75
დაფის აქსესუარები	30195700	ცალი	1	5.85	5.85
დანა საკანცელარიო პატარა	30100000	ცალი	55	0.27	14.85

მაკრატელი	39241200	ცალი	55	1.35	74.25
წებო მშრალი	24910000	ცალი	55	0.9	49.50
საშლელი	30192100	ცალი	5	0.45	2.25
საშლელი (სპილო)	30192100	ცალი	5	0.18	0.90
საკანცელარიო წიგნი-ქართ. წარმ.	22800000	ცალი	55	0.9	49.50
რვეული 96 ფურცლიანი	22800000	ცალი	6	1.8	10.80
თაგვის დაფა	30200000	ცალი	4	1.98	7.92
ოვერლეი წებოვანი	22800000	ცალი	4	2.7	10.80
ს უ ლ					1669.49

„შემსყიდველი“

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

N28 დუშეთის საარჩევნო ოლქი

ქ. დუშეთი, კოსტავას ქ.№23

საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509

ტელ: (995 346) 22-11-32

LBRTGE22

ანგ №GE23LB0118141330135024; კოდი: 220101403

N28 დუშეთის საარჩევნო ოლქის

თავმჯომარე

„მიმწოდებელი“

შპს „საკანცელარიო სამყარო“

ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ.1

საიდენტიფიკაციო კოდი: 202335721

ტელ: 995 32 251-79-74

პროკრედიტბანკი

ბანკის კოდი: MIBGGE22

ა/ა #GE40PC0183600100024848

დირექტორი